შპს «არკო»
საქართველო, ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 52.
0160.
ტ: +995 593313005.

«ARCO» LTD
GEORGIA, TBILISI, ONIASHVILI ST. 52.
0160.
P: +995 593313005.

e-mail: info@arco.com.ge www.arco.com.ge

28. 12. 2022. დ № 0412/22

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა №6ა-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (C ბლოკი) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში პეტრე იბერის ქუჩა №6ა-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (C ბლოკი) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება. ამასთან ერთად წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი და ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია (A=0.17). ქარის ნორმატიული დაწოლა 850პა. თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა 500პა. წლის საშუალო ტემპერატურა 12.6 C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24 C, წლის აბსოლუტური მაქსიმუმი +40 C. ნალექების რაოდენობა წელიწადში 560მმ, ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 146 მმ.

შენობა წარმოადგენს ჩარჩოკავშირებიან მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციას. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 60.30X20.50 მეტრი. 24 სართულიანი ორი მიწისქვეშა სართულით.

შენობის საძირკვლად მიღებულია საძირკვლის ფილა, რომელის სისქე 180 სმ-ია. ფილის ქვეშ ეწყობა 10 სმ-იანი სისქის მჭლე ბეტონის მომზადება და ჰიდროიზოლაცია. საძირკვლის ფუძედ მიღებულია ქვიშა-ხრეშის ბალიში, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა თიხებს (ს.გ.ე. 2, იხილეთ პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), აღნიშნული ქანის საანგარიშო წინაღობა შეადგენს Ro=400კპა.

შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს: რკინაბეტონის მონოლითური სვეტები განივი კვეთის ზომებით: 135X70; 120X70; 135X60; 120X60; 135X50; 120X50; 135X40; 120X40 60X50; 50X50; 40X40 სანტიმეტრი; სარდაფის შემომზღუდავი რკინაბეტონის მონოლითური კედლები სისქით h=30 სმ. რკინაბეტონის მონოლითური დიაფრაგმები სისქით h=30; h=20 სმ.

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები განივი კვეთით 60X40(h); 20X40(h); 50X90(h); 50X60(h); 50X50(h); 40X60(h); 40X50(h); 20X60(h); 20X50(h); 30X50(h); 60X50(h); სანტიმეტრი.

რკინაბეტონის მონოლითური სართულშორისი გადახურვები სისქით h=20 და h=18; სანტიმეტრი. მონოლიური რკინაბეტონის კიბის პანდუსები სისქით h=20 სანტიმეტრი.

შენობის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია სიმტკიცის მიხედვით კუმშვაზე B30 კლასის ბეტონი. ხოლო გრუნტთან შეხებაში მყოფი კონსტრუქციებისთვის წყალშეუღწევადობის მიხედვით W6 მარკის სულფატომედეგ ცემენტებზე დამზადებული ბეტონები (სტანდ. 22266-76).

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B500C კლასის არმატურები ГОСТ Р 52544-2006 (ან B500BW EN სტანდარტით).

შენობის გარე შემომზღუდავი კედლები ეწყობა, ბლოკით სისქით h=20 სანტიმეტრი. (მოცულობითი მასა არაუმეტეს 700კგ/მ³ (საანგარიშო))

შენობის ბინათშორის კედლები ეწყობა, ბლოკით სისქით h=20 სანტიმეტრი (მოცულობითი მასა არაუმეტეს 700კგ/მ³ (საანგარიშო))

ბინების შიდა ტიხრები ეწყობა ბლოკით სისქით h=10 სანტიმეტრი (მოცულობითი მასა არაუმეტეს 700კგ/მ³ (საანგარიშო))

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, 8 ბალინიან სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. გაანგარიშება ჩატარებულია საანგარიშო კომპლექსი LiraSAPR 2021-ის საშუალებით.

საექსპერტოდ წარმოდგენილ პროექტში მოცემული ყველა კონსტრუქციული ელემენტი დანიშნულებიდან გამომდინარე მუშაობის ხასიათით და კონფიგურაციით მრავალჯერადად არის გამოყენებული და მეტ-ნაკლები სირთულით აღწერილია სახელმძღვანელოებში, საცნობარო ლიტერატურაში, ნორმატიულ დოკუმენტებში და მათ მეთოდურ მითითებებში. შესაბამისად პროექტის ინჟინრების მიერ განხორციელებულია, კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება მორგება, არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ,

გეოლოგიურ და სეისმურ პირობებთან.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გაგვაჩნია შენიშვნა რომლებიც ატარებენ უფრო სურვისლის ხასიათს:

- სვეტების და პილონების არმირების დროს უფრო მეტად მოხდეს მათი უნიფიცირება, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს მშენებლობის პერიოდში ადამიანური ფაქტორები.

დასკვნა. ქ. თბილისში პეტრე იბერის ქუჩა №6ა-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (C ბლოკი) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გაცნობის და მისი ანალიტიკური მოდელის გაანგარიშების შედეგების ანალიზი, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მისი მდგრადობა უზრუნველყოფილია. შესაბამისად პროექტი ფასდება დადებითად და ეძლევა რეკომენდაციას დასამტკიცებლად.

ექსპერტი: / კობა კობალაძე /


Georgia
IDENTITY CARD
GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
კობა
KOBA
გვარი / LAST NAME
კობალაძე
KOBALADZE
მოქ. ტიპი
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01024003496
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
01.02.1979
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
22.06.2026
ბარათის No / CARD No
15ID06593
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
22.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015ID06593201024003496<<<<
7902011M2606222GE0<<<<<<<<<<<9
KOBALADZE<<KOBA<<<<<<<<<<<<<<<

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 005928

This is to certify that Mr./Mrs. Koba Kobaladze in year 2001 completed a full Bachelor's course of the Hydraulic Engineering Faculty of the Georgian Technical University majoring in Hydraulic Engineering of Hydroelectric Power Stations

By resolution of the State Examination Board, dated February 28, 2001 Mr. Koba Kobaladze is conferred the degree of Bachelor of Engineering

qualifying as Hydraulic - Engineer

Rector .....

Chairman of the State Examination Board N. Kodua

Dean .....

City Tbilisi June 29. 2001

Registration № 03785 Secretary Peradze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 005928

მიეცა კობა კობალაძის მასზედ, რომ მან 2001 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი, სპეციალობით ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური ნაგებობები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით კობა კობალაძეს მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი და ინჟინერ - ჰიდროტექნიკის კვალიფიკაცია

რექტორი .....

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 29.06.2001 წ

სარეგისტრაციო № 03715 მდივანი .....

პირადი მონაცემები და სამუშაო გამოცდილება

სახელი, გვარი:	კობა კობალაძე. (პ.ნ: 01024003496)
მისამართი:	ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. № 53.
ტელეფონი:	+995 322 385-675 +995 593 313-005
ელ. ფოსტა:	koba_k_k@yahoo.com
დაბადების თარიღი:	ქ. თბილისი, 1979 წლის 1 თებერვალი.
განათლება:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი. ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა.
სამუშაო გამოცდილება:	- კონსტრუქციების გაანგარიშებები, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება, კონსულტაცია, მშენებლობის საპროექტო და ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის მენეჯმენტი. - საექსპერტიზო, საკონსულტაციო, საპროექტო შ.პ.ს. “კონექსი” – იჟინერ-კონსტრუქტორი. 2001 – 2019 წლები. - შ.პ.ს. “საქპროექტარქიტექტურა” – იჟინერ-კონსტრუქტორი. 2004 – 2007 წლები. - შ.პ.ს. “უნიმშენი” – იჟინერ-კონსტრუქტორი. 2006 – 2008 წლები. - შ.პ.ს. “საქგზამეცნიერება” – იჟინერ-კონსტრუქტორი. 2012 წ-დან დღემდე. - საპროექტო-სამშენებლო, საექსპერტიზო კომპანია შ.პ.ს. “არკო”-ს დამფუძნებელი და მთავარი ინჟინერი. 2011 წ-დან დღემდე. - კომპანია შ.პ.ს. “ბილდინგ სერვისი”-ს დამფუძნებელი და დირექტორი. 2016 წ-დან დღემდე. - კომპანია შ.პ.ს. “ავე პროჯექტი”-ს დამფუძნებელი. 2019 წ-დან დღემდე. - კომპანია შ.პ.ს. “ჯი აი ბი”-ს დამფუძნებელი და დირექტორი. 2019 წ-დან დღემდე.

კობა კობალაძის მიერ 2001 წლიდან დღემდე შესრულებულია რამდენიმე ასეული სხვადასხვა სამუშაო, კერძოდ: სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებები, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება, კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების კვლევა და საქსპერტო დასკვნების მომზადება, წინასაპროექტო კვლევები, მშენებლობის მონიტორინგი, მშენებლობის საპროექტო და ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის მენეჯმენტი.

შესრულებული სამუშაოების კატეგორიები: სამოქალაქო, ჰიდროტექნიკური, საგზაო, საავიაციო, საზღვაო, სტრატეგიული დანიშნულების შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული გაანგარიშება - პროექტირება და მშენებლობის ზედამხედველობა.



/კობა კობალაძე /